

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №

თბილისი

2019 წ

შ.პ.ს „ლაგი“ (შემდგომში „ოპერატორი“) მისი დირექტორის, ნუგზარ ჭელიძის სახით, ერთის მხრივ, და
შპს _____ მისი დირექტორის _____ სახით

მეორეს მხრივ, (შემდგომში „აბონენტი“) ვღებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ადგილობრივი სატელეფონო მომსახურების გაწევაზე საქართველოში მოქმედი კანონების და კოდექსების შესაბამისად.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „ოპერატორი“ ახორციელებს „აბონენტისათვის“ VOIP ტელეფონის დადგმას „ოპერატორის“ ტექნიკური საშუალების (IP ადაპტორის) ან აპლიკაციის მეშვეობით. ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე _____

1.2 „ოპერატორი“ ანიჭებს „აბონენტს“ სააბონენტო ნომერს _____

1.3 „ოპერატორი“ სატელეფონო სადგურის საშუალებით უზრუნველყოფს „აბონენტის“ ხარისხიან და შეუფერხებელ დაკავშირებას ადგილობრივ, შიდა საერთაშორისო, საქალაქთაშორისო და მიბილურ ტელეფონებზე .

2. მომსახურების სახე და ღირებულება

2.1 ტელეფონის დადგმის პირობები და საფასური, ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეები და მათი ტარიფები მოცემულია დანართის სახით, რომელიც არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი

2.2 დანართში ყოველგვარი ცვლილება „ოპერატორის“ მიერ შეიტანება „აბონენტის“ შეტყობინების შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. ანგარიშსწორება და დეპოზიტი

3.1 ანგარიშსწორება ხორციელდება საბანკო ქსელის მეშვეობით.

3.2 დეპოზიტი შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი, ნებისმიერი თანხის ოდენობით და გომოყენებულ იქნას „ოპერატორის“ მიერ „აბონენტის“ მიმდინარე დავალიანების დასაფარავად.

4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

4.1 მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება: საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კანონმდებლობით, „მეწარმეთა შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით და სხვა მოქმედი საკანონმდებლო და კანონმდებარე ნორმატიული აქტებით, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობას „ოპერატორსა“ და „აბონენტის“ შორის.

4.2 „აბონენტი“ ვალდებულია;

4.2.1 დროულად და სრულად გადაიხადოს სააბონენტო გადასახადი

4.2.2 წუთობრივი მომსახურების სარგებლობის შემთხვევაში დროულად გადაიხადოს გაწეული მომსახურებისათვის დარიცხული საფასური

- 4.2.3 სატარიფო გეგმას “უღიმიტო”-
- 4.2.4 იმ შემთხვევაში თუ აბონენტი აირჩევს სატარიფო გეგმას “უღიმიტო” რაც გულისხმობს სავალდებულო დეპოზიტს და 60 დღის განმავლობაში არ შეიტანს დეპოზიტს აბონენტს შეზღუდვა მომსახურება ორმხრივად, შეუწყდება ხელშეკრულება და მოეხსნება მინიჭებული ნომერი.
- 4.2.5 სატარიფო გეგმა “სააბონენტო”
- 4.2.6 ყოველთვიური სააბონენტო და (შიდა საერთაშორისო ზარებზე) წუთობრივი გადასახადი დაფაროს მიმდინარე თვის 20 რიცხვამდე. თუ „აბონენტი“ აღნიშნულ ვადამდე არ დაფარავს დარიცხულ დავალიანებას ის გაფრთხილებული იქნება „ოპერატორის“ ავტომოპასუხის მეშვეობით მომსახურების შეზღუდვის შესახებ , ამასთან ავტომოპასუხე შეატყობინებს საცნობარო-საინფორმაციო სამსახურის ნომერს, სადაც „აბონენტი“ ყვასოდ მიიღებს დავალიანებასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას
- 4.2.7 დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში „აბონენტს“ ცალმხრივად შეზღუდება მომსახურება მიმდინარე თვის 25 რიცხვში და 60 დღის განმავლობაში მას შეუძლია დავალიანების დაფარვის და მომსახურების აღდგენის ღირებულების გადახდის შემთხვევაში აღიდგინოს ცალმხრივად შეზღუდული მომსახურება
- 4.2.8 აღნიშნულ ვადაში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში „აბონენტს“ ეზღუდება მომსახურება ორმხრივად და მომდევნო 30 დღის განმავლობაში მომსახურების აღსადგენად „აბონენტი“ ვალდებულია დავალიანებასთან ერთად გადაიხადოს აღდგენის ღირებულება
- 4.2.9 აღნიშნულ ვადაშიც დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში „ოპერატორი“ წყვეტს ხელშეკრულებას, უხსნის „აბონენტს“ მინიჭებულ ნომერს და იბრუნებს ტელეფონის დადგმის ტექნიკურ საშუალებებს
- 4.2.10 აბონენტი ვალდებულია არ გამოიყენოს ტელეფონის ნომერი და იდენტიფიკაციის უნიკალური კოდი მასობრივი გზავნილებისათვის, ასევე შლუზის ან დანადგარების დასაყენებლად სხვა ქსელში შესაღწევად, არ მოახდინოს არასწორი ტერმინაცია, A ნომრის ცვლილება ან სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ოპერატორს, სხვა აბონენტს ან მესამე პირს.
- 4.2.11 ტექნიკური საშუალების (ადაპტორის) დაზიანების შემთხვევაში (იმ შემთხვევაში თუ ტელეფონი დადგმული VOIP ადაპტორის მეშვეობით) აუნაზღვაროს „ოპერატორს“ მისი სრული საფასური
- 4.2.12 ტელეფონის დაზიანების შემთხვევაში დაუბრკოლებლად დაუშვას „ოპერატორის“ წარმომადგენელი ტექნიკური მოწყობილობის განთავსების ადგილზე
- 4.3 „ოპერატორი“ ვალდებულია :
- 4.3.1 „აბონენტის“ მოთხოვნის შემთხვევაში მიწოდებულ ანგარიშს თან დაურთოს დეტალური ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის შესაბამისი მომსახურების გაწვევის დროს, დროის ხანგრძლივობის, შემომავალი და გამავალი ზარების ნომრის შესახებ
- 4.3.2 არ გასცეს „აბონენტის“ პერსონალური ინფორმაცია თვით „აბონენტის“ თანხმობის გარეშე ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე

5. პროექტების და საჩივრების წარდგენა და დავის გადაწყვეტა

- 5.1 „ოპერატორის“ სახელზე შემოსული პროექტები და საჩივრები სატელეფონო საუბრების გადასახადთან დაკავშირებით მიიღება საუბრის განხორციელებიდან ერთი თვის განმავლობაში, წერილობით ფორმაში „ოპერატორის“ ოფისში ვაჟა-ფშაველას გამზ. №41-ში
- 5.2 „ოპერატორის“ სახელზე შემოსული წერილობითი განცხადება მიღების დღეს იქნება გატარებული სარეგისტრაციო ნომრით და მოთხოვნის შემთხვევაში „აბონენტს“ გადაეცემა რეგისტრაციაში გატარების დადასტურება.
- 5.3 „ოპერატორი“ ვალდებულია საჩივარი განიხილოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება საჩივრის რეგისტრაციიდან არა უგვიანეს მე-15 დღეს.
- 5.4 „ოპერატორის“ გადაწყვეტილება უნდა იყოს ყოველმხრივ სრული, ობიექტური და დასაბუთებული.
- 5.5 ტელეფონის დაზიანების შემთხვევაში „აბონენტი“ ტელეფონით ატყობინებს „ოპერატორის“ დაზიანების ბიუროს. „ოპერატორი“ ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება შეტყობინებიდან 2 დღის ვადაში.
- 5.6 „ოპერატორის“ საინფორმაციო სამსახურში „აბონენტს“ შეუძლია უფასოდ მიიღოს ინფორმაცია ტარიფების, არსებული დავალიანების და დამატებითი მომსახურების შესახებ.

6. ფორს-მაჟორი

- 6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
- 6.2 დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა), საომარი მოქმედებები, სამოქალაქო არეულობები, გაფიცვები და სხვა აქტები რაც შეაფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

7. ხელშეკრულების ვადა

- 7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.
- 7.2 ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტა ხდება მხარეთა შეთანხმებით ან ერთერთი მხარის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

8. სხვა პირობები

- 8.1 ყველა დავა მხარეებს შორის წყდება ურთიერთშეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში- სასამართლოს მეშვეობით.
- 8.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

„ოპერატორი“

„აბონენტი“

შპს „ლაგა“

ვაჟა-ფშაველას გამზ. №41

ს/კ 202911242

სს. „ლიბერთი ბანკი“ ც/ფ

კოდი LBRTGE22

ა.ა №GE56LB0113112212244000

2425004;2425060; 2425050

ხელმოწერა -----

ხელმოწერა -----

დანართი1

- 1.1 სააბონენტო გადასახადი შეადგენს ნომერზე 6 (ექვსი) ლარს (30 დღიანი მომსახურების ვადა) (დღგ- სა 112 ის მომსახურების ჩათვლით)
- 1.2 აბონენტის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაფაროს დავალიანება (ასეთის არსებობისას) და დააბრუნოს დროებით სარგებლობაში გადაცემული კომპანიის კუთვნილი მოწყობილობები/ტექნიკური საშუალებები. ხელშეკრულების შეწყვეტისას (ნებისმიერი საფუძვლით) მოწყობილობების დადგენილ ვადაში დაუბრუნებლობისთვის აბონენტს ერიცხება შეწყვეტის დღისთვის არსებული მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულება.
- 1.3 დროებით გადაცემული ტექნიკური საშუალებების დაზიანების შემთხვევაში აბონენტს ერიცხება არსებული მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულება.
- 1.4 VOIP ნომრის ინსტალაცია 0 თეთრი
- 1.5 შიდა ზარები 0 თეთრი
- 1.6 საქართველოს მობილურ და ადგილობრივ ქსელში წუთის ღირებულება 0 თეთრი
- 1.7 საუბრების წამობრივი დამრგვალება
- 1.8 „პაკეტი ულიმიტო“ არ ვრცელდება სპეციალური დანიშნულების ქსელზე და საერთაშორისო ნომრებზე
- 1.9 საქართველოში მობილური ქსელში დასაკავშირებლად აკრიფეთ: 0 და მობილური ოპერატორის კოდი და ნომერი.
- 1.10 ლაგის საინფორმაციო სამსახურის ნომერია:2425060